


ქართული ფოლკლორის და საგადობების შესწავლის პროგრამა შეიქმნა



საქართველოს ეროვნული მუზეუმი 10 საუკუნის ჰიმნოგრაფიულ კრებულებში დაცული სამუსიკო ნიშნების კვლევის შედეგებისა და უნიკალური მიგნებების პრეზენტაციას მასპინძლობს.

ექსპოზიციას საქართველოს პრემიერ–მინისტრთან ერთად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილიც დაესწრო. ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებთან ერთად მუსიკისმცოდნეები, ანჩისხატის მგალობელთა გუნდის წევრები და დარგის სპეციალისტები იყვნენ.

„სახერმწიფო პროგრამა დავიწყეთ, რომლის მიხედვითაც ჩვენი სურვილი და მოწოდებაა, რომ საქართველოში ყვედგან, ყვედა დასახლებულ პუნქტში ისწავდებოდეს ქართული ფოლკლორი და მათ შორის, ჩვენი უნიკალური საგადობები.“

რამდენიმე დღის წინ ასევე ძარიან მნიშვნელოვანი მოვდენა გახდდათ, როდესაც გამოიცა უნიკალური რვა ტომეური ჩვენი საგადობების. თუმცა ეს პირველი ნაბიჯებია, ვინაიდან აღნიშნული საგანძური იმდენად დიდია, რომ კიდევ წდება სამუშაო რათა, სრულად დავრწმუნდეთ, რომ გვაქვს გამოცემული ყვედა ქართული საგადობელი“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

სამუსიკო ნიშნები – ნევმები მე-10 საუკუნის ჰიმნოგრაფიულ

კრებულებშია დაცული. ირკვევა, რომ სწორედ ნევმების მეშვეობით იწერებოდა საგარეობების ჰანგი. ქართული მრავადხმიანობა 2008 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შევიდა. ქართული ტრადიციული მუსიკა მსოფლიო მონაპოვარია, რომლის მეცნიერულ კვლევას საფუძველი მე-19 საუკუნეში ჩაეყარა.